14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
სავაჭრო ვალდებულებები	10,086,345	3,687,251
საგადასახადო ვალდებულება	1,426,663	3,599
	11,513,008	3,690,850

ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-17 შენიშვნაში.

15. მიღებული ავანსები

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
მიღებული ავანსები	3,063,795	913,007
	3,063,795	913,007

16. სესხები

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ მოცემულია 17-ე შენიშვნაში.

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	3,677,602	1,093,360
	3,677,602	1,093,360

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,783,361	816,971
	1,783,361	816,971

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი არ ექვემდებარებოდა ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 2024	ნომინალური განაკვეთი 2023	დაფარვის წელი 2024	დაფარვის წელი 2023	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
						ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებები სგან აღებული სესხები	აშშ დოლარი	SOFR საპროცენტო განაკვეთი+3.5% (არასდროს 8%- ზე ნაკლები) პირველი წლისთვის 8.3%, 12 თვის შემდეგ - SOFR	-	2025	-	1,764,331	1,764,331	-	-
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებები სგან აღებული სესხები	აშშ დოლარი	საპროცენტო განაკვეთი+4.5% (არასდროს 8.3%- ზე ნაკლები)	-	2029	-	2,553,340	2,553,340	-	-
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებები სგან აღებული სესხები	აშშ დოლარი	6%	6%	2026	2026	1,143,292	1,143,292	1,910,331	1,910,331
სულ პროცენტთან ვალდებულებები						5,460,963	5,460,963	1,910,331	1,910,331

(b) სესხებისა და კრედიტების მოძრაობის შეჯერება:

	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	1,910,331	2,693,090
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	39,739,525	6,676,230
სესხების დაფარვა	(36,619,397)	(7,485,512)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	396,614	26,523
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	3,516,742	(782,759)
სხვა ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი	568,587	190,909
გადახდილი პროცენტი	(534,697)	(190,909)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	33,890	-
ნაშთი 31 დეკემბერს	5,460,963	1,910,331

(c) გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები	6,670,930	5,378,800
	6,670,930	5,378,800

17. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ჯგუფი აფასებს, რომ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებიდან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 17 (b) (ii);
- ლიკვიდურობის რისკი - შენიშვნა 17 (b)(iii);
- საბაზრო რისკი - შენიშვნა 17 (b)(iv).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ის უმეტესად წარმოიშობება ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,447,993	13,332,247
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,836,199	1,972,655
	22,284,192	15,304,902

გაუფასურების ზარალები ფინანსურ აქტივებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	924,745	1,470,302
	924,745	1,470,302

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რაც წარმოადგენს მის მიერ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით მოსალოდნელი ზარალის შეფასებას. აღნიშნული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჯგუფური ზარალის კომპონენტი.

„ჯგუფს“ არ გააჩნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებზეც არ აღიარდება ზარალის რეზერვი უზრუნველყოფის არსებობის გამო.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში შეტანილი ძირითადი მონაცემები წარმოადგენს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

პირველი დონის დაქვემდებარებულებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლებით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში გადამრავლების გზით. ჯგუფი შემდგომ "დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში" დეფოლტის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე ადისკონტირებს.

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024	2024	2024
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი			
დაბალი რისკი	11,420,348	-	11,420,348
საშუალო რისკი	2,765,884	-	2,765,884
მაღალი რისკი	-	6,261,761	6,261,761
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	14,186,232	6,261,761	20,447,993
ზარალის რეზერვი	(281,766)	(4,968,647)	(5,250,413)
	13,904,466	1,293,114	15,197,580

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	2023	2023	2023
	არ არის საკრედიტო რისკით	საკრედიტო რისკით	
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	გაუფასურებული	გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი	3,695,797	-	3,695,797
საშუალო რისკი	3,341,682	-	3,341,682
მაღალი რისკი	-	6,294,768	6,294,768
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	7,037,479	6,294,768	13,332,247
ზარალის რეზერვი	(886,233)	(3,393,246)	(4,279,479)
	6,151,246	2,901,522	9,052,768

ჯგუფი ზემოაღნიშნულ ხარისხებს განსაზღვრავს შემდეგნაირად:

- დაბალი რისკი - კონტრაქტებს, უახლოეს პერიოდში, აქვთ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების ძლიერი უნარი, და არ არის სავარაუდო, რომ უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.
- საშუალო რისკი - კონტრაქტებს აქვს რესტრუქტურისებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, რომელიც უნდა დაიფაროს უახლოეს პერიოდში და უარყოფითმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერიოდში, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს კონტრაქტის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები.
- მაღალი რისკი - კონტრაქტებს, უახლოეს პერიოდში, აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი, და სავარაუდოა, რომ უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ნაშთების მქონე კონტრაქტებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნებზე დეფოლტის ალბათობა განისაზღვრებოდა 1.3%-დან 2.88%-მდე. ეს განსაზღვრება დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე და კონტრაქტის სპეციფიკური რისკის ასახვის მიზნით, 2-3 საფეხურიტ ქვევით არის შესწორებული. ყველა სხვა კონტრაქტისთვის ჯგუფმა გამოიყენა კოლექტიური შეფასების მიდგომა, CA-C რეიტინგის ექვივალენტური დეფოლტის ალბათობის მინიჭებით, რაც შეესაბამება 35.8%-იან დეფოლტის მაჩვენებელს. ქვეყნის რეიტინგი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის საბაზისო მაჩვენებელს, წარმოადგენს რა როგორც რეიტინგის საცნობარო მაჩვენებელს, ასევე სავაჭრო მოთხოვნების ქვედა ზღვარს. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის გარე ბენჩმარკის სახით "Moody's"-ის დეფოლტის კვლევას იყენებს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრა დაახლოებით 54%-ით. ჯგუფი იყენებს პრიორიტეტული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების აღდგენის საშუალო განაკვეთებს, "Moody's" ყოველწლიური დეფოლტის კვლევის თანახმად (როგორც "ზარალი დეფოლტის შემთხვევაში" გარე ბენჩმარკი).

ხელმძღვანელობის შეფასებით "დაქვემდებარება დეფოლტის შემთხვევაში" განისაზღვრა 100%-ის დონეზე, იმის გათვალისწინებით რომ მოთხოვნა უნდა იყოს დაფარული დაფარვის ვადის დადგომისას.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, მანამ სანამ ჯგუფი არ დარწმუნდება, რომ ვერ მიიღებს დაუფარავ ოდენობას; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

საბანკო ნაშთები

საბანკო ნაშთები განთავსებულია კარგი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში. საბანკო ნაშთების მნიშვნელოვანი ნაწილი B მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგის მქონე ორ ქართულ ბანკშია განთავსებული.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით. 2024 და 2023 წლების განმავლობაში, ჯგუფს არ უღიარებია გაუფასურების რეზერვი ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ რომელიმე კონტრაქტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ჯგუფი ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს მისი მუდმივი კლიენტებისგან.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

31 დეკემბერი 2024

	სახელშეკრულებო				
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	5,460,963	5,975,176	3,387,230	2,358,630	229,316
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,086,345	10,086,345	10,086,345	-	-
	15,547,308	16,061,521	13,473,575	2,358,630	229,316

31 დეკემბერი 2023

	სახელშეკრულებო				
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	1,910,331	1,910,331	816,971	1,093,360	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,687,251	3,687,251	3,687,251	-	-
	5,597,582	5,597,582	4,504,222	1,093,360	-

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ადრე ან არსებითად განსხვავებული ოდენობით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი გასწევს ფინანსურ ვალდებულებებს, საბაზრო რისკების მართვის მიზნით. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, სავაჭრო მოთხოვნებთან, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან, სესხებთან და სავაჭრო ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში არის დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი, ევრო, აზერბაიჯანული მანათი და ჩინური იუენი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

	აშშ დოლარში დენომინირებული	ჩინურ იუენში დენომინირებული	ევროში დენომინირებული	აზერბაიჯანულ მანათში დენომინირებული	სულ 31 დეკემბერი 2024
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,023,539	-	106	2,898,278	7,921,922
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,054	-	1,421	989,588	994,063
სესხები და კრედიტები	5,460,963	-	-	-	5,460,963
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(566,204)	(8,242,989)	2,273	(131,961)	(8,943,427)
წმინდა დაქვემდებარება	(1,000,574)	(8,242,989)	(2,067)	3,755,904	(5,488,405)

	აშშ დოლარში დენომინირებული	ჩინურ იუენში დენომინირებული	ევროში დენომინირებული	აზერბაიჯანულ მანათში დენომინირებული	სულ 31 დეკემბერი 2023
	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,794,374	-	107	1,363,274	3,157,755
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,724	-	1,369	1,252,787	1,257,880
სესხები და კრედიტები	(1,910,331)	-	-	-	(1,910,331)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(236,247)	(1,314,162)	(101,385)	(58,765)	(1,710,559)
წმინდა დაქვემდებარება	(348,480)	(1,314,162)	(101,173)	2,557,296	794,745

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.72	2.63	2.81	2.69
1 ევრო	2.94	2.84	2.93	2.98
10 ჩინური იუენი	3.78	3.71	3.85	3.78
1 აზერბაიჯანული მანათი	1.60	1.55%	1.65	1.58

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

’000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	531,747	(531,747)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(75)	75
ჩინური იუენი (10%-იანი მოძრაობა)	(824,299)	824,299
აზერბაიჯანული მანათი (10%-იანი მოძრაობა)	250,490	(250,490)
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	462,390	(462,390)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(9,991)	9,991
ჩინური იუენი (10%-იანი მოძრაობა)	(131,416)	131,416
აზერბაიჯანული მანათი (10%-იანი მოძრაობა)	204,336	(204,336)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობით უნდა ექვემდებარებოდეს ჯგუფი ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთიან ინსტრუმენტებს. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას, მმართველი გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის - ფიქსირებული თუ ცვალეზადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
სესხები და კრედიტები	(1,143,293)	(1,910,331)
	(1,143,293)	(1,910,331)
’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
სესხები და კრედიტები	(4,317,670)	-
	(4,317,670)	-

18. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი საბოლოოდ კონტროლდება ფიზიკური პირის, თამაზ ფიროსმანაშვილის მიერ.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში (იხ. შენიშვნა 7):

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	1,443,684	555,000

19. შემდგომი მოვლენები

(a) დივიდენდები

2025 წლის 1 იანვრიდან, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა 1,842,105 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები.

(b) სესხები და კრედიტები

2025 წლის განმავლობაში, ჯგუფმა დამატებითი თანხები ისესხა ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან. სესხების საერთო ღირებულება 34,050,113 ლარია.

20. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოსა და აზერბაიჯანში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო ქონებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა ჯგუფის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ ჯგუფის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აზერბაიჯანში საგადასახადო სისტემა ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით და საგადასახადო კანონმდებლობის დებულებები განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოსა და აზერბაიჯანში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

21. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

22. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა მიიღო „სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები“ (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები). კორექტირებები მოითხოვს „არსებითი“ და არა „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ კორექტირებებს არ მოჰყოლია რაიმე ცვლილება თვითონ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებში, მათ გავლენა მოახდინეს 20(a-m)-ში წარმოდგენილ სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. გარდა საერთო კონტროლის გარიგებებისა, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელ წილის დეფიციტურ ნაშთს.

(iii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) საშემოსავლო გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(c) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. 2023 და 2024 წლებში ჯგუფის მოგების გადასახადი იყო: 464,396 და 568,421 ლარის ოდენობის, შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია მოგების გადასახადის დარიცხვა გარკვეულ გარიგებებზე რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდებებზე და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებზე. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღირიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(d) გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ოდენობებს შორის დროებით სხვაობებთან მიმართებაში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისთვის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისთვის და გამოსაქვითი დროებითი სხვაობებისთვის, იმ ოდენობით, რამდენადაც სავარაუდოა, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგებები იქნება ხელმისაწვდომი, რომლის მიმართაც მათი გამოყენება იქნება შესაძლებელი. გადავადებული საგადასახადო აქტივების გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და მცირდება ისეთ დონემდე, როდესაც უკვე აღარ არის სავარაუდო, რომ დაკავშირებული საგადასახადო სარგებელი იქნება რეალიზებული.

გადავადებული გადასახადი აღირიცხება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებზე მათი აღდგენისას, იმ კანონებზე დაყრდნობით, რომლებიც ძალაშია ან დიდწილად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

გადავადებული გადასახადის შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მიჰყვება ჯგუფის მოლოდინებს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომ აღადგინოს და დააკმაყოფილოს მისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარულია, როდესაც არსებობს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ დაკისრებულ მოგების გადასახადებს.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და იმას, შეიძლება თუ არა დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და დაგვიანებული გადახდის პროცენტის დარიცხვა. ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა ადეკვატური იყოს ყველა ღია საგადასახადო წლისთვის, მრავალი ფაქტორის შეფასების საფუძველზე, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციებისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებსა და ვარაუდებს და შეიძლება მოიცავდეს მომავალ მოვლენებთან დაკავშირებულ მსჯელობებს. შესაძლოა, ახალი ინფორმაცია გახდეს ხელმისაწვდომი, რაც ჯგუფს შეაცვლევინებს თავის განსჯას არსებულ საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით; საგადასახადო ვალდებულებების ასეთი ცვლილებები გავლენას მოახდენს საგადასახადო ხარჯებზე იმ პერიოდში, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღება.

(e) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

შემოსავალი, საკმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას გაწეული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას მოიცავს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს მაშინ, როდესაც: შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება და სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში.

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც გადასცემს კონტროლს საქონელზე კლიენტს.

ჯგუფის ხელშეკრულებები მოიცავს ერთჯერად შესასრულებელ ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს კონკრეტული საქონლის გადაცემას და აღირიცხება განცალკევებით. ანაზღაურება მიიღება პროდუქტის კონტროლის მომხმარებელზე გადაცემის მომენტში.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საკმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში.

(g) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც საპროცენტო ხარჯი მიჩნეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯად, რომელიც კვალიფიციურ აქტივზე უნდა იქნეს კაპიტალიზირებული.

(h) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შვილობილი კომპანიის სამუშაო ვალუტა არის აზერბაიჯანული მანათი ჯგუფის წარდგენის ვალუტა არის ლარი (შენიშვნა **Error! Reference source not found.**). შვილობილი კომპანიის წარდგენის ვალუტა განსხვავდება ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან, რადგან ფინანსური ანგარიშგების ლარში წარდგენა არის კანონით დადგენილი მოთხოვნა საქართველოში.

(i) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(j) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა ჯგუფს აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადებამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(k) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, პირდაპირი შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან.

ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	30 წელი;
– ავეჯი და მოწყობილობები	10 წელი;
– საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი
– სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
– სხვა	5 წელი;

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივი უკვე არის იმ ასაკის და იმ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

(I) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(m) დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს, მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში.

(n) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი იყენებს ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებს, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვალდებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს (შენიშვნა 10) და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 12) და კლასიფიცირებულია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ ფლობილი ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა რომელიც გამოწვეულია ჯგუფის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომელიც მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, წარმოდგენილია შენიშვნაში 14, შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი მის ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით აფასებს.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან (მაგ. კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ბანკების მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის უფლებას და ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს გადახდილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილება გიროში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. ჯგუფს აქვს ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული რაიმე მომავალ მოვლენაზე და იურიდიულად აღსრულებადია საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობისას და ჯგუფის და ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯების გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(o) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვეთება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია, როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოძინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები)
- ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7-ის კორექტირებები).



შპს მაგნიუმ +

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის დასრულებული წლისათვის

შპს „მაგნიუმ+“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ცენტრალური გათბობა-კონდიციონერ-ვენტილაციის (HVAC) მოწყობილობებით საცალო და საბითუმო ვაჭრობას. ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს: ქ. თბილისი, დიღომი, ანდრონიკაშვილის 4გ. ჯგუფი იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს. ჯგუფის მფლობელი 31 დეკემბერი 2024-2023 წლებში არის თამაზ ფიროსმანაშვილი 100%. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალი შეადგენდა 65,079,765 ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალი შეადგენდა 51,304,954 ლარს, შემოსავალი 2024 წელში 114,215,724 ლარია. შემოსავალი 2023 წელში - 81,795,541 ლარი.

ჯგუფმა 2023 წლის 30 მარტს დაარსა შვილობილი კომპანია შპს „MICA“ და წარმოადგენს მის 90 %-იან მფლობელს.

ჯგუფის სტრატეგია

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, ისევე როგორც ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და ამავდროულად იმის ხაზგასმაც, რომ მომხმარებელს სთავაზობს სანდრო მწარმოებლის მიერ დამზადებულ პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი ბაზარს ამარაგებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციით და ქმნის საქართველოზე ადაპტირებულ მოქნილ სერვისებს. საერთაშორისო გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გაზიარებით ვქმნით და ვამაღლებთ ხარისხის სტანდარტებს HVAC ბაზარზე. Midea Group-ის ავტორიზებული ოფისი საქართველოში საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციის და სერვისის ოპტიმალურ კომბინაციას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჯგუფის სამომავლო გეგმები

ჯგუფის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდა
- ახალი მომხმარებლის მოზიდვა
- საბაზრო წილის ზრდა
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება
- ახალი მიმართულებების განვითარება



ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	114,215,724	81,795,541
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(81,179,051)	(56,164,455)
საერთო მოგება	33,036,673	25,631,086
დისტრიბუციის ხარჯები	(1,034,693)	(699,498)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(13,100,130)	(8,054,894)
გაუფასურების ანარიცხი	(924,745)	(1,470,302)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	36,125	6,124,870
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	18,013,230	21,531,262
საპროცენტო შემოსავალი	26,901	-
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(649,929)	(460,636)
საპროცენტო ხარჯები	(535,567)	(190,909)
წმინდა ფინანსური ხარჯები	(1,158,595)	(651,545)
მოგება დაბეგვრამდე	16,854,635	20,879,717
მოგების გადასახადის ხარჯი	(436,730)	(548,940)
წლის წმინდა მოგება	16,417,905	20,330,777
ვალუტის კონვერტაციის სხვაობებიდან მიღებული ზარალი	(11,515)	(1,966)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	16,406,390	20,328,811

სხვა არსებითი მაჩვენებლები შემდეგია:

2024 წლის განმავლობაში ჯგუფის პერსონალის საშუალო რაოდენობა იყო 90 თანამშრომელი, ხოლო 2023 წლის მდგომარეობით 71 თანამშრომელი. სახელფასო ხარჯი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,410,380 და 5,036,665 ლარია.

ამონაგები 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია რაც გამოწვეულია იმ ფაქტით რომ ჯგუფი აქტიურად ცდილობს ინოვაციური ტექნიკით მომხმარებელთა სეგმენტის გაზრდას, ასევე ყოველდღიურად აქტიურად ეძებს საექსპორტო სავაჭრო პარტნიორებს, რათა შემოსავლის მაჩვენებელი გაზარდოს და კვლავ ლიდერად დარჩეს ქვეყნის ბაზარზე.



ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

აქტივები	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9,979,716	5,691,081
არამატერიალური აქტივები	53,390	60,793
სულ გრძელვადიანი აქტივები	10,033,106	5,751,874
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	48,635,071	34,344,933
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,230,724	9,073,588
გადახდილი ავანსები	8,457,733	5,661,449
დაბრუნებადი აქტივი	162,630	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	282,845	103,599
სხვა აქტივი	684,110	911,044
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,836,199	1,972,655
სულ მიმდინარე აქტივები	75,289,312	52,067,268
სულ აქტივები	85,322,418	57,819,142
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8,830	8,830
გაუნაწილებელი მოგება	65,116,759	51,307,032
ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	(13,481)	(1,966)
არამაკონტროლებელი წილი	(32,343)	(8,942)
სულ კაპიტალი	65,079,765	51,304,954
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	3,677,602	1,093,360
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,677,602	1,093,360
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,513,008	3,690,850
მიღებული ავანსები	3,063,795	913,007
მოკლევადიანი სესხები	1,783,361	816,971
დაბრუნებადი ვალდებულება	204,887	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	16,565,051	5,420,828
სულ ვალდებულებები	20,242,653	6,514,188
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	85,322,418	57,819,142



ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა (გაგრძელება)

საქმიანობის კოეფიციენტი	2024	2023	ცვლილება	ტრენდი
მარაგების ბრუნვა (წელი)	1.67	1.64	0.03	2%
მარაგების ბრუნვა (დღე)	218.7	223.1999	(4.53)	-2%
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი)	7.5	9.01	(1.52)	-17%
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე)	48.67	40.49	8.18	20%
საქვარო ვალდებულებების ბრუნვა (წელი)	7.05	15.22	(8.17)	-54%
საქვარო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)	51.8	24.0	27.78	116%
ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი	2024 215.58	2023 239.7	ცვლილება (24.12)	ტრენდი -10%

კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

- მარაგების ბრუნვა (წელი) = გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება / მარაგები
- მარაგების ბრუნვა (დღე) = 365 / მარაგების ბრუნვა (წელი)
- სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი) = ამოგანები / სავაჭრო მოთხოვნები
- სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე) = 365 / სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (წელი)
- სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი) = გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება / სავაჭრო ვალდებულებები
- სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე) = 365 / სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (წელი)
- ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი = მარაგების ბრუნვა (დღე) + სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა (დღე) - სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)

ლიკვიდურობის კოეფიციენტი

	2024	2023	ცვლილება	ტრენდი
მიმდინარე ლიკვიდურობა	4.55	9.61	(5.06)	-53%
სწრაფი ლიკვიდურობა	1.03	2.04	(1.01)	-49%



საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა (გაგრძელება)

სასესხო ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი

	2024	2023	ცვლილება
სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან	6.4%	3.3%	3.1%
სასესხო ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან	8.4%	3.7%	4%

უკუგების კოეფიციენტი

	2024	2023	ცვლილება
აქტივების უკუგება (ROA)	19%	35%	-16%
კაპიტალის უკუგება (ROE)	25%	40%	-14%

ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

- მიმდინარე ლიკვიდურობა = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები
- სწრაფი ლიკვიდურობა = (ფული და ფულის ეკვივალენტები + სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

- სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან = სასესხო ვალდებულებები / სულ აქტივები
- სასესხო ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან = სასესხო ვალდებულებები / სულ კაპიტალი

უკუგების კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

- აქტივების უკუგება (ROA) = წლის მოგება / სულ აქტივები
- კაპიტალის უკუგება (ROE) = წლის მოგება / სულ კაპიტალი

ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოთვლილია შემდეგნაირად:

- მიმდინარე ლიკვიდურობა = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები
- სწრაფი ლიკვიდურობა = (ფული და ფულის ეკვივალენტები + სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები

სასესხო ვალდებულების დაფარვის კოეფიციენტი გამოთვლილია შემდეგნაირად:

- სასესხო ვალდებულების შეფარდება აქტივებთან = სასესხო ვალდებულებები / სულ აქტივები



- $\text{სასესხო ვალდებულების შეფარდება კაპიტალთან} = \text{სასესხო ვალდებულებები} / \text{სულ კაპიტალი}$

უკუგების კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:

- $\text{აქტივების უკუგება (ROA)} = \text{წლის მოგება} / \text{სულ აქტივები}$
- $\text{კაპიტალის უკუგება (ROE)} = \text{წლის მოგება} / \text{სულ კაპიტალი}$

ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადის რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკის მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. ჯგუფის საკმაოდ დიდი წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვაზე. საკრედიტო ვადა მათთვის 30-90 დღემდეა. ზოგიერთ შემთხვევაში ვადა 6 თვეა. ჯგუფს აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების რეზერვირება მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ჯგუფი მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას. ამისათვის საჭიროა საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელი საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, ჯგუფის მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

- **სავალუტო რისკი** - შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვების, შედარებით მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია : ჯგუფს არ აქვს შემუშავებული ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის სამართავად, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ და დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბანკო სესხების 100% დენომინირებულია აშშ დოლარში.
- **საკრედიტო რისკი** - არსებობს ალბათობა იმისა, რომ დებიტორი სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დავალიანებას, ან არ დაფარავს მას დროულად. შესაბამისად, ეს ჯგუფისთვის წარმოქმნის ზარალს ან სხვა ლიკვიდურობის პრობლემას.



შპს “მაგნიუმ +”
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია : “ზუნებრივი ჰეჯირების”
მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების
ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება
საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.

- პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია : მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

შპს “მაგნიუმ +”

დირექტორი: თამაზ ფიროსმანაშვილი

20 ნოემბერი, 2025



შპს "მაგნიუმ +"
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია : "ზუნებრივი ჰეჯირების"
მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების
ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება
საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებით.

- პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი
გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა
და ლიკვიდურობაზეც. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია :
მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას,
რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი
რეაგირება.

შპს "მაგნიუმ +"

დირექტორი: თამაზ ფიროსმანაშვილი

20 ნოემბერი, 2025

